



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



№ 31-ი

07 / ივნისი / 2019 წ.

## განკარგულება

### **„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №13-ი განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### **მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის № 13-ი განკარგულების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონება, (ს.კ.54.05.54.192) სოფელ ცოდნისკარის ადმინისტრაციული შენობის ნაწილი - 48,6კვ.მ. პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ „ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრს ცოდნის კარს“(ს.ნ.433106685).“.

#### **მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

#### **მუხლი 3**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბასმულია  
ელექტრონულად

კარლო ჯამბურია